პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI —

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

1975 პარასკევი 25 თებერვალი № 173 (16299) ფასი 2 კაპ. 1975

სკკპ XXV ყრილობის შესახვედრად!

გამოვიყენოთ ყველა რეზერვი წლიური გეგმისა და ვალდებულებების ვადამდე შესრულებისათვის!

გამოდის ლექტორი

ახალი ლექციის შესახებ განცხადება შეიძლება ნახოთ ყველგან — ქარხნის საამქროში და მშენებლობაზე, აგიტპუნქტსა და დარესებულების, საველე ბანაკის, ფერმის წითელ კუთხეში. ყოველდღე ჩვენს ქვეყანაში იკითხება 60 ათასზე მეტი ლექცია, ხოლო მათი საერთო რიცხვი წლის მანძილზე 22 მილიონს აღემატება და მოიცავს უზარმაზარ აუდიტორიას — მილიარდამდე მსმენელს.

საბჭოთა ადამიანის ცხოვრების მთელი წესი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინტერესები, პროფესიული, კულტურულ-ტექნიკური მოთხოვნილებანი და შემეცნებითი საჭიროებანი განაპირობებენ ფართო მოთხოვნას მასობრივ საჯარო ლექციაზე. საზოგადოებრივ ლექტორთა ორმილიონიანზე მეტი რაზმი ეწევა ცოდნის აქტიურ პროპაგანდას მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის ყველა სფეროში, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში, ხუთწლიდის წარმატებით დამთავრებისათვის მათი მეცადინეობის დარაზმვაში.

ბოლო დროის პრაქტიკა პროპაგანდის ამ დიდმნიშვნელოვან ფუნქციათა ეფექტიანი განხორციელების ბევრ მაგალითს იძლევა. სულ უფრო შესამჩნევია მისწრაფება. — გამოჰყონ მთავარი მიმართულებანი ლექციურ მუშაობაში და მათ მოახმარონ საუკეთესო ძალები. შეძენილია საშინაო და საერთაშორისო ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებზე ოპერატიული გამოხმაურების დიდი გამოცდილება. კიდევ უფრო განვითარდა ცოდნის პროპაგანდის ქმედითი ფორმები და მეთოდები, უმჯობესდება მისი თემატიკა.

ლექციურ გამოსვლათა ნახევარზე მეტი ახლა ეძღვნება საბჭოთა საზოგადოების ეკონომიური და სოციალური განვითარების საკითხებს, მარქსიზმ-ლენინიზმის, როგორც ერთიან ინტერნაციონალურ მოძღვრებას, კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის იდეოლოგიური ბრძოლის პრობლემებს, მსოფლიო რევოლუციური პროცესის მოვლენებს. პარტიული კომიტეტებისა და საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორები აქტიურად განუმარტავენ მასებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. აცნობენ, თუ როგორ სრულდება ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების პროგრამა, რომელიც პარტიამ დასახა. ამით ისინი ხელს უწყობენ მასების შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ამაღლებას, სოციალისტური შეჯიბრების განვითარებას.

პარტიისა და ხალხის დაძაბული შემოქმედებითი მუშაობის, სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახულ ისტორიულ ამოცანათა განხორციელების შედეგად ჩვენმა საამშობლომ დიდი ნაბიჯი გადადგა კომუნისტური მშენებლობის გზაზე. ცხოვრებამ დამაჯერებლად ცხადყო, რომ სწორია ყრილობის მიერ შემუშავებული პოლიტიკური ხაზი. შთამბეჭდავად გავაცნო მშრომელებს მიღწეული წარმატებანი და ახალი პერსპექტივები — ეს მთელი ჩვენი პროპაგანდის, მათ შორის ლექციური პროპაგანდის, უმნიშვნელოვანესი მიზნებია.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემის ლექციებთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის ფართო პროპაგანდას. ცვლილებანი წარმოებასა და თვით მშრომელის პიროვნებაში, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მოთხოვნები განსაზღვრავენ მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების, მოწონავე გამოცდილების გაზრდილ როლს. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ამ თემებზე ლექციების რიცხვი თითქმის გაორკეცდა. საჭიროა კვლავაც ვაფართოვებდეთ ამ პრობლემებზე გამოსვლების ფრონტს, ვუნერგავდეთ მშრომელებს მისწრაფებას მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნისადმი, მასობრივი ტექნიკური შემოქმედებისადმი.

მაგრამ საქმე ლექციების მარტო რაოდენობრივი ზრდა როდია. საჭიროა უწინარეს ყოვლისა ვაუმჯობესებდეთ მათს ხარისხს, ეამაღლებდეთ მეცნიერულ-თეორიულ დონეს, სრულყოფდეთ შეხვედრების ოსტატობას. ზოგიერთი გამოსვლა ერთფეროვანია, არ შეიცავს ღრმა ანალიზს, ცოტა ინფორმაციას აწვდის მეცნიერებისა და პრაქტიკის უახლესი მიღწევების შესახებ. ლენინის ცნობილი დებულება, რომ ლექციების იდეურ-პოლიტიკურ მიმართულებას, მათს შინაარსს მთლიანად და განსაკუთრებით განსაზღვრავს ლექტორთა შემადგენლობა, ახლა კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. უკანასკნელ წლებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად ამაღლდა პროპაგანდისტული მუშაობის საზოგადოებრივი პრესტიჟი. შეიქმნა მთელი რიგი ახალი ლექტორთა ჯგუფები და ცენტრები, განმტკიცდა მათი შემადგენლობა. ახლა მთავარია სრულყოფილ ლექციური საქმე პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების, „ბელორუსიის პარტიულ ორგანიზაციაში იდეოლოგიური კადრების შერჩევისა და აღზრდისათვის მუშაობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების სულისკვეთებით.

მოსკოვსა და ლენინგრადში, რუსეთის ფედერაციის ბევრ ოლქში, უკრაინასა და ბელორუსიაში, ლიტვასა და მოლდავეთში მოქმედებს ლექტორთა კურსების, სკოლებისა და სემინარების მწყობრი სისტემა, მათ უწევენ მეცნიერულ-მეთოდიკურ დახმარებას, უზრუნველყოფენ ხაინფორმაციო ბიულეტენებით, საცნობარო და სხვა ლიტერატურით. მაგრამ ასეთ ზრუნვას ყველგან როდი იჩენენ. ზოგჯერ პროპაგანდისტული კადრები ცუდად არიან ინფორმირებული, მათ წინაშე იშვიათად გამოდიან ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები. ისეც ხდება, რომ ლექტორებს დანიშნულებისამებრ არ იყენებენ, აცდენენ მათ ძირითადი საქმიანობისაგან უამრავი დავალებით. მეორე მხრივ, პარტიულ კომიტეტთა ლექტორების ჯგუფების ნაწილი ჯეროვნად არ არის დაკომპლექტებული. მთელ რიგ ადგილებში ჯერ კიდევ სუსტად აბამენ ლექციურ საქმიანობაში მეცნიერებსა და სახალხო მეურნეობის სპეციალისტებს. პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან ყოველნაირად გაუმჯობესონ მუშაობა ლექტორთა კადრებთან, გაუწიონ მათ აქტიური დახმარება.

კვლავაც უნდა განვითარდეს ლექციური პროპაგანდის მუდმივმოქმედი ფორმები. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სახალხო უნივერსიტეტები, ლექციების ციკლები და ლექტორიუმები, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები და თემატიკური კითხვები, ზეპირი ჟურნალები და საღამოები მსმენელებს უზრუნველყოფენ ცოდნის სხვადასხვა დარგში ინფორმაციის მთლიანი სისტემით.

ჩვენი სიტყვიერი პროპაგანდის ეფექტიანობის გაძლიერების გადამწყვეტი პირობაა ამ უბნისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონის ამაღლება, მეცნიერული საფუძვლების დანერგვა, სალექციო უწყებათა და ორგანიზაციათა საქმიანობის კოორდინაცია, მათ შორის განსაკუთრებული როლი ენიჭება საზოგადოება „ცოდნას“, რომლის მუშაობაში 2.7 მილიონზე მეტი კაცი მონაწილეობს.

პარტიული ორგანიზაციებისათვის წესი უნდა გახდეს, როგორც აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, მუდამ ესწრაფოდნენ იმას, რომ „უფრო ოპერატიულად გამოეხმაურონ ამბებს, სერიოზულად გაუმჯობესონ მთელი საინფორმაციო მუშაობა, ღრმად და დახასიათებულად განმარტონ პარტიის პოლიტიკა. უფრო სრულად გაითვალისწინონ საბჭოთა ადამიანების, კულტურის გაზრდილი დონე და მოთხოვნილებების მრავალმხრივი ხასიათი — ერთი სიტყვით, დაეუფლონ მასების პოლიტიკური განათლების ლენინურ ხელოვნებას“. ლექციური პროპაგანდის ორგანიზაციისადმი კომპლექსური მიდგომა კომუნისტური მშენებლობის მოცანათა წარმატებით გადასაწყვეტად მშრომელთა შემოქმედებითი ენერგიის წარმართვის ამ ძლიერი საშუალების ეფექტიანობის ამაღლების საიმედო მეთოდია.

„პრავდის“ 24 ივლისის მოწინავე.

საქართველოს კომპარტიის ადიგენის რაიკომის პლენუმი

ზაიმართა საქართველოს კომპარტიის ადიგენის რაიონული კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა კ. ხ. რეხვიაშვილი გაათავისუფლა პარტიის ადიგენის რაიონული კომიტეტის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრობის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს კომპარტიის ადიგენის რაიონული კომიტეტის პირველ მდივნად ილ ბეჭოროს წვრილ პლენუმმა აირჩია მ. ბ. ქაჯაია.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ. (საქინფორმი).

ვიმპელები გადაეცათ

პურის მკაში

მცხეთა. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). უკანასკნელ ხუთდღიურში პურეულის სწრაფად და უდანაკარგოდ აღების საქმეში გაჯიდებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში თავი ისახელა ნატახტრის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი ა. ლობანიძე). მექანიზატორებმა პურეულის მოსავალი აიღეს 180 ჰექტარზე. თვითეულ ჰექტარზე გაიღება 20 ცენტნერი მარცვალი. წარმატებით მიმდინარეობს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვა, თითქმის მოსავლის აღება, სეზონის დამთავრება.

ამ წარმატებებისათვის მეურნეობას „კომუნისტისა“ და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარდამავალი ვიმპელი გადაეცა.

შ. ბოჯუა.

ჩაის კრეფაში

ჩოხატაური. (საკ. კორ.). უკანასკნელ ათ დღეში სოფელ ქვეშნობის კოლმეურნეობამ მოკრიფა 97 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად 75 ტონისა. მოკრეფილი ნედლეულის 90 პროცენტი პირველი ხარისხისაა. დიდი გადაჭარბებით შეასრულეს გეგმები ბრიგადებმა, რომლებსაც რ. კალანდაძე და მ. მჟავანაძე ხელმძღვანელობენ. მეჩაიეები თამარ ბასაძე, გოგუცა ჯაში, ნინო ბუბუტეიშვილი დღეში 50-70 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფენ.

ციურის გადაწყვეტილებით ძმენობის კოლმეურნეობას გადაეცა „კომუნისტისა“ და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვიმპელი.

ბ. ჩხაიძე.

ხუთწლედი — ვადამდე!

მეაბრეშუმეთა დიდი წარმატება

შეასრულეს გეგმაც, ვალდებულებაც

ფართოდ გაშალეს რა სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმის შესრულებისა და სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, რესპუბლიკის მეაბრეშუმეებმა შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვეს: ამინდის ძნელ პირობებში ორგანიზებულად გამოკვებეს აბრეშუმის ჭია და აბრეშუმის პარკის უმაღალითო მოსავალი მოიწიეს.

ივლისის მესამე დეკადის დამდეგისათვის პარკსაშრობებში მიღებულია 16.440 ცენტნერი აბრეშუმის პარკი გეგმით გათვალისწინებული 15 ათასის და ვალდებულებით ნაკისრი 16.400 ცენტნერის ნაცვლად.

საქართველოს თითქმის ყველა რაიონმა შეასრულა გეგმები და ვალდებულებანი. განსაკუთრებით ისახელეს თავი გურჯაანის, ახმეტის, ყვარლის, თელავის, სიღნაღის, მახარაძის, ცხაკაიას, ლანჩხუთის, ხობის, წყალტუბოს, ვანის, ჩოხატაურის, ზუგდიდის, აბაშის, გეგეჭკორის, ბოლნისის, საგარეჯოს, კასპის, მცხეთის, ორჯონიკიძის, წალენჯიხის, ჩხოროწყუსა და ხაშურის რაიონებმა.

გადამეტებით შეასრულეს გეგმები ლაგოდეხის, სამტრედიის, თერჯოლის, ზესტაფონის, მარნეულის, საჩხერის, მაიაკოვსკის, ამბროლაურის, გორის, ქარელის რაიონების, ქალაქების ტყიბულისა და ჭიათურის მეაბრეშუმე ოსტატებმა.

აბრეშუმის პარკის დამზადება გრძელდება. (საქინფორმი).

შეჯიბრების მოწინავენი

თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებელში“ ფართოდ გაიშალა პარტიის XXV ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. საწარმოს კოლექტივმა დამკვრელურად გამოაცხადა ყრილობამდე დარჩენილი დრო. თბილისელმა ელმავალმშენებლებმა გადახედეს ადრე ნაკისრ ვალდებულებას და გადაწყვიტეს წლის დამლევამდე დამატებით გამოუშვან 100 ათასი მანეთის პროდუქცია, შრომის ნაყოფიერება 0,5 პროცენტით გაადიდონ და 100 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღონ.

საყრილობო შეჯიბრების ავანგარდში ამწყობ ზეინკალთა კომუნისტური შრომის ბრიგადა გურამ ექვშარაშვილის ხელმძღვანელობით. ამ ერთსულოვანმა კოლექტივმა ჯერ კიდევ მარშან ნოემბერში შეასრულა მეცხრე ხუთწლედი.

დაამთავრა თუ არა საშუალო სკოლა, ეთერ კავთელაძემ მუშაობა დაიწყო თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში და მხვეველის პროფესიას დაეუფლა. ეს იყო ორი წლის წინათ. ახლა კომკავშირელი გოგონა საწარმოს ერთ-ერთი საუკეთესო მუშაა, ცვლის დავალებებს სისტემატურად დიდი გადაჭარბებით ასრულებს. ე. კავთელაძე ჩაება საყრილობო შეჯიბრებაში და ვალდებულება იკისრა მომავალი წლის პირველი კვარტალის გეგმა ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულოს.

სურათებზე: ზემოთ — ამწყობ ზეინკალთა კომუნისტური შრომის ბრიგადა (მარცხნიდან მარჯვნივ) აკაკი წიკლაური, გურამ ექვშარაშვილი (ბრიგადირი) და რევაზ გონგაძე; ქვემოთ — თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მოწინავე მუშა ე. კავთელაძე.

ვ. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მეტი მარცვლეული — სახელმწიფოს!

მარნეულელთა ახალი ვალდებულება

მარნეულის რაიონის საბჭოთა მეურნეობების მშრომელებმა ფართოდ გააჩაღეს პარტიის XXV ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება და ახალი წარმატებაც მოიპოვეს — წლიურს მიღებულ თავთავიანი მარცვლეული კულტურების უხვი მოსავალი. სულ ასაღები იყო 5.741 ჰექტარი, 22 ივლისისათვის აღებული ჰქონდათ 5.000 ჰექტარზე მეტი და საშუალოდ ჰექტარზე მარცვლეულის მოსავალმა 26,1 ცენტნერი შეადგინა.

მარნეულელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 10.870 ტონაზე მეტი მარცვალი ნაცვლად 7.000 ტონისა. რაიონის მშრომელებმა აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და გადაწყვიტეს წლიურს სულ სახელმწიფოს მიჰყიდონ 11.200 ტონაზე მეტი მარცვლეული. მარნეულელები ნაკისრ ახალ ვალდებულებას ამ დღეებში შეასრულებენ. ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს პარტიის მარნეულის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. მაღალაშვილმა და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ჟულევამ.

ტყიბულელთა ზეგეგმითი ჩაის ტონები

პარტიის XXV ყრილობისათვის მზადების დღეებში ტყიბულელმა მეჩაიეებმა ახალი წარმატება მოიპოვეს. 17 ივლისისათვის გადაჭარბებით შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის ხუთწლიანი გეგმა. სულ მოკრეფილია 28.050 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად ხუთწლიანი დავალებით გათვალისწინებული 27.930 ტონისა.

ამ წარმატებებში დიდი წვლილი შეიტანეს ძიროვნის, ბუეთის, კისორეთის, ციცხვათის, ორპირის, კურსების, ძმუისის, საწარის, მუხურის კოლმეურნეობებმა. ტყიბულელი მეჩაიეები ენერგიულად შრომობენ წლიურს ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის. უკვე მოკრეფილია 5.200 ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო“ გეგმა-დავალება კი 6.020 ტონის მოკრეფას ითვალისწინებს.

ტყიბულელმა მეჩაიეებმა გადაწყვიტეს ნაკისრი ვალდებულება ვადაზე ადრე შეასრულონ. ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობა პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ცნობილაძემ.

„სალუტ-4“: ორი თვე კოსმოსში

ფრუნზის მართვის ცენტრი, 24 ივლისი. (საკდესი). ორი თვეა მუშაობენ ორბიტაზე პეტრე კლიმუკი და ვიტალი სევასტიანოვი — „სალუტ-4“ ორბიტული სამეცნიერო სადგურის მეორე ეკიპაჟი. მორიგი სამუშაო დღე ხომალდზე დაიწყო დღეს 11 საათზე მოსკოვის დროით. კოსმონავტები განაგრძობდნენ ოპერაციებს სადგურის მოსაამზადებლად ავტომატური რეჟიმით ფრენისათვის.

წინა დღის განმავლობაში კოსმონავტებმა დაამთავრეს ფრენის მეცნიერული პროგრამის შესრულება. კომპლექსური ამარტიერის საშუალებით მათ გამოიკვლიეს დედამიწის ზედაპირი და ატმოსფერო მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის. ფოტოგადაღება და სპექტროგრაფირება წარმოებდა ვოლგისპირეთის, ყაზახეთისა და შუა აზიის რაიონების თავზე.

პ. ი. კლიმუკი და ვ. ი. სევასტიანოვი თავს კარგად გრძნობენ. სიმშვიდის მდგომარეობაში მეთაურის მაჯისცემის სიხშირეა 68, ბორტინჟინრისა — 64 წუთში, არტერიული წნევა შესაბამისად შეადგენს ვერცხლისწყლის სვეტის 120-60 და 115-60 მილიმეტრს.

„სალუტ-4“ სადგურის სისტემები ნორმალურად მუშაობენ.

ფრენა მთავრდება

პიუსტონი, ფრუნზის მართვის ცენტრი, 24 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი კოსმოსური ექსპერიმენტი მთავრდება. ხომალდი „აპოლონი“ უნდა დაჯდეს წყალზე ჰავაის კუნძულების რაიონში 25 ივლისს 0 საათსა და 20 წუთზე მოსკოვის დროით. როგორც ერთობლივი ფრენის ცალის ხელმძღვანელმა ამერიკის მხრივ ფ. ლოტტონმა განაცხადა პრეს-კონფერენციაზე, „აპოლონი“ ეკიპაჟი მზად არის ფრენის დამამთავრებელი სტადიისა და წყალზე დაჯდომისათვის.

წინა დღის განმავლობაში კოსმონავტებმა დაამთავრეს ფრენის მეცნიერული პროგრამის შესრულება. კომპლექსური ამარტიერის საშუალებით მათ გამოიკვლიეს დედამიწის ზედაპირი და ატმოსფერო მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის. ფოტოგადაღება და სპექტროგრაფირება წარმოებდა ვოლგისპირეთის, ყაზახეთისა და შუა აზიის რაიონების თავზე.

პ. ი. კლიმუკი და ვ. ი. სევასტიანოვი თავს კარგად გრძნობენ. სიმშვიდის მდგომარეობაში მეთაურის მაჯისცემის სიხშირეა 68, ბორტინჟინრისა — 64 წუთში, არტერიული წნევა შესაბამისად შეადგენს ვერცხლისწყლის სვეტის 120-60 და 115-60 მილიმეტრს.

„სალუტ-4“ სადგურის სისტემები ნორმალურად მუშაობენ.

ფრენა მთავრდება

პიუსტონი, ფრუნზის მართვის ცენტრი, 24 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი კოსმოსური ექსპერიმენტი მთავრდება. ხომალდი „აპოლონი“ უნდა დაჯდეს წყალზე ჰავაის კუნძულების რაიონში 25 ივლისს 0 საათსა და 20 წუთზე მოსკოვის დროით. როგორც ერთობლივი ფრენის ცალის ხელმძღვანელმა ამერიკის მხრივ ფ. ლოტტონმა განაცხადა პრეს-კონფერენციაზე, „აპოლონი“ ეკიპაჟი მზად არის ფრენის დამამთავრებელი სტადიისა და წყალზე დაჯდომისათვის.

ფ. ლოტტონმა, ვ. ბრანდმა და დ. სლეიტონმა შესაპირაპირებელი მოდული გამოჰყვეს ხომალდის საკომანდო მოდულისაგან, ხოლო შემდეგ განახორციელეს ორბიტის შეცვლის მანევრი. ეს ოპერაციები წარმატებით შესრულდა.

გამოყოფილი შესაპირაპირებელი მოდულის გამოყენებით ეკიპაჟმა განახორციელა მეცნიერული ექსპერიმენტების სერია. ასტრონავტებმა განაგრძეს დაკვირვება დედამიწის ზედაპირის სხვადასხვა უბანზე. მაგ შეამოწმეს ბორტის აპარატურა წყალზე მომავალ დაჯდომასთან დაკავშირებით.

ყველაფერი კარგად მიდის, განაცხადა პრეს-კონფერენციაზე ფ. ლოტტონმა. ხომალდის წყალზე დაჯდომის რაიონში ხელსაყრელი ამინდია.

ვ. ჩუქსეევი, ა. ბოგიკოვი.

გამოუშვათ მეტი მაღალხარისხოვანი პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა სოციალისტური შეჯიბრების რესპუბლიკური კომისიის სხდომა.

სხდომა გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. გ. კოლბინმა.

ინფორმაცია — „შეჯიბრების მონაწილე სამინისტროებისა და უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მიერ მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის პირველ ნახევარში ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა გათვალისწინებით გეგმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ გააკეთა საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ამხ. ი. ხაზარაძემ. ვალდებულებათა შესრულების შედეგები დასამტკიცებლად წარედგინა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს.

მოისმინეს მანქანათმშენებლობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის ი. ჭუმბურიძის მოხსენება „საქართველოს სსრ მანქანათმშენებელი მრეწველობის საწარმოებში პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის გაჩაღებული შეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ“. ამხ. ი. ჭუმბურიძემ აღნიშნა, რომ დარგის საწარმოებში წარმოებს გარკვეული მუშაობა პროდუქციის ხარისხის ყოველმხრივ გაუმჯობესებისათვის. მაგალითად, ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში შემუშავებულია შიგასაქარხნო შეჯიბრების დამატებითი პირობები, რომლებიც ითვალისწინებენ მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვების წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვის საფუძველზე, ბოლო წლებში აქ წელინთ გამოწვეული დანაკარგები 1,3-ჯერ შემცირდა, 25 პროცენტით იკლო ავტომობილის მომსახურების შრომატევადობამ.

თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მეკოპეთა ბრიგადამ, რომელსაც საფავეში უდგას სოციალისტური შრომის ვეტერანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. კურტანიძე, სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გამოიჩინა ახალი ინიციატივა: „თვითეული სამუშაო ადგილზე ხარისხობრივ მაჩვენებელთა ბალანსებსა — ხუთწლედის სამსახურში“.

1971 წლიდან თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის კოლექტივი უშვებს მილსაჭრელ ჩარხებს, რომლებიც საჭიროა მხოლოდ პირველი კატეგორიის მეტალურგიული მრეწველობისათვის. ყოველთვიურად საწარმოს ყველა საამქროში ეწყობა „ხარისხის დღეები“, რომლებზეც სწავლობენ დაშვებულ შეცდომებს, სახავენ მათი აღმოფხვრის ღონისძიებებს, ქარხანაში დიდი ყურადღება ეთმობა ოსტატის როლის ამაღლებას. ამ საკითხს მიეძღვნა მანქანათმშენებლობის მუშათა პროფკავშირის რაიონული კომიტეტის მე-10 პლენუმი. პლენუმმა დაავალა პროფკავშირებსა და სამეურნეო ორგანიზაციებს განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი წარმოებაში ოსტატის როლის ამაღლებისათვის.

მომხსენებელმა გააკრიტიკა ცალკეული საწარმოები, რომლებიც არ წყვეტენ დეფექტიანი პროდუქციის გამოშვებას, არ დაუსახავთ კონკრეტული ღონისძიებანი ხარისხობრივი მაჩვენებელთა გაუმჯობესებისათვის.

ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის კოლექტივის ინიციატივა: „საწარმოო ფართობის თვითეულ კვადრატულ მეტრს — მაქსიმალური დატვირთვა“ რესპუბლიკური კომისიის სხდომის მონაწილეებს გააცნო ქარხნის დირექტორმა ვ. ცინცაძე.

აღინიშნა, რომ ბათუმელი მშრომელები, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, ახალ შრომით წარმატებებს აღწევენ სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში. ქალაქის მრეწველობამ 26 ივნისს შეასრულა მთლიანი პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის ნახევარი წლის გეგმა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 5,1 მილიონი მანეთის პროდუქცია, წარმოების მოცულობის ზრდის ტემპმა შეადგინა 6,4 პროცენტი.

ქალაქის სამრეწველო საწარმოთა შრომითი კოლექტივები რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა მიერ 200 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებისათვის ბრძოლაში გამოდიან ახალი შრომითი თაოსნობების ინიციატორებად. საყურადღებოა მანქანათმშენებელთა თაოსნობა საწარმოო ფართობის თვითეული მეტრის მაქსიმალური დატვირთვით გამოყენების შესახებ.

ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა წელს საწარმოო ფართობის თვითეულ კვადრატულ მეტრზე მოლიანი პროდუქციის მოცულობა გაზარდოს 404 მანეთამდე მეცხრე ხუთწლედის დამდეგისათვის მიღწეული 324 მანეთის ნაცვლად. ხოლო მომავალ, მეთე ხუთწლედში, პროდუქციის საშუალოწლიური მოცულობა 26,8 პროცენტით გაადიდოს.

ამ ვალდებულებათა შესასრულებლად, განაცხადა ქარხნის დირექტორმა, მანქანათმშენებლებმა გადაწყვიტეს გაათავისუფლონ სხვა საჭიროებებისათვის პირობითად 1.300 კვადრატული მეტრი საწარმოო ფართობები, რაც მთლიანი პროდუქციის გამოშვებას 538 ათასი მანეთით გაადიდებს, თვითეულ საამქროში შემუშავებულია ლითონდამუშავების ტექნოლოგიის სრულყოფისა და მექანიზებული მოწყობილობის რაციონალურად გამოყენების ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი, დასახულია დაინერგოს ახალი მექანიზებული ხაზები, პროგრამული მართვის დიდმწარმოებლური ჩარხები და ნაკეთობათა კონვეიერული ღებვა.

კომისიამ მოიწონა ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის კოლექტივის ინიციატივა და ურჩია სამრეწველო საწარმოთა პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს ფართოდ გაავრცელონ იგი.

სხდომაზე გამოვიდნენ თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ჯიქიძე, ქუთაისის ორკონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ხურციანი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე შ. ბარბაქაძე, მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ლაკა, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საზოგადოებრივი წარმოების განყოფილების გამგე გ. მალაშხია, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ზედგინიძე, რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი გ. ჟორჟიკაშვილი, აქარის ასსრ საოლქო პროფსაბჭოს თავმჯდომარე მ. ეკიზაშვილი და სხვები.

სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. კოლბინმა.

1975 წელი აგვარგვინებს მეეტრე ხუთწლედს, აღნიშნა ამხ. კოლბინმა. ამასთანავე ეს წელი არის მოსამზადებელი წელი სკკპ XXV ყრილობისათვის, რომელმაც უნდა განსაზღვროს ქვეყნის შემდგომი განვითარების პერსპექტივები. პარტია სახავს ამოცანას შეთე ხუთწლედი ეაქციოთ ხარისხის ხუთწლედად, ეფექტიანობის ხუთწლედად ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის. მომდინარე წლის წარმატებით დამთავრებას, მაშასადამე, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს — იგი ქმნის მტკიცე საფუძველს მომავალი ხუთწლედის მაღალი მიჯნების მისაღწევად. ამასთან დაკავშირებით საჭიროა გავაძლიეროთ ბრძოლა გეგმისათვის, ხარისხისათვის, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, ვიმუშაოთ ოპერატიულად, შემოქმედებითად, ვიჩენდეთ მაღალ მომთხოვნელობას საკუთარი თავისა და ამხანაგებისადმი.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები ზ. პატარაძე და ჯ. პატიაშვილი. საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე თ. მოსაშვილი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. შარტავა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ზ. გელდიაშვილი, ვ. ვადაჯკორია, ა. ლაბახუა.

(საქინფორმი).

საზოგადოების თვითთეული წევრი არა მარტო უნდა ქმნიდეს პროდუქციას, არამედ კონტროლსაც უწევდეს საკუთარ თავსა და სხვებს.

ჩვენი პარტიისა და მთავრობის ერთ-ერთ ძირითად სახურუნავს შეადგენს მომავალი თაობის ცხოვრებისა და სწავლის პირობების გაუმჯობესებისათვის მოდვაწეობა. ამის ნათელი დადასტურებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „უმაღლეს სასწავლებლებთან მოსამზადებელი განყოფილებების ორგანიზაციის შესახებ", რომლის ძირითადი ამოცანა და მიზანი ის არის, რომ გზა გაუხსნას სწორედ ჩვენი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მომუშავე მოწინავე ახალგაზრდებს უმაღლესი განათლების მიღებისა და დაოსტატებისათვის. სიტყვა მოწინავე ჩვენ შემთხვევით როდი ვიხმარეთ. სწორედ ეს „მოწინავე" არის კრიტერიუმი და საზომი იმ უფლების მოსაპოვებლად, რომელსაც სტუდენტის სამატიო სახელი ჰქვია.

ვინ წყვეტს ამ სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეს, ახალგაზრდისათვის მოწინავის სახელის მინიჭებას? რა თქმა უნდა, საწარმოს და კოლმეურნეობის საერთო კრება, ერთი სიტყვით, კოლექტივი და არა ერთეული პიროვნება. და რაოდენ დასანანი და საზარალოა ის, რომ მოწინავე ახალგაზრდების შერჩევის ეს საუკეთესო მეთოდი ზოგიერთი უპასუხისმგებლო ადამიანების წყალობით, დაუდევრობით უხეშად ირღვევა და მახინჯდება.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ზოგჯერ ირღვევა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების დაკომპლექტებაში სამრეწველო საწარმოების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მონაწილეობისა და თავისი საწარმოებისათვის სპეციალისტების მომზადების შესახებ". უმაღლეს სასწავლებლების მოსამზადებელ განყოფილებებზე ჩარიცხული ზოგიერთი ახალგაზრდა არათუ მოწინავე არ არის, არამედ სავალდებულო ორი წლის მუშაობის სტაჟიც კი არა აქვს. უფრო მეტიც. ძალიან ხშირად ასეთ ახალგაზრდებს აძლევენ № 2 ფორმას, რომლის წყალობითაც ისინი 15 პროკენტით მეტ სტიპენდიასაც კი იღებენ.

ასეთი სერიოზული დარღვევები არ იქნებოდა, უმაღლესი სასწავლებლებისა და მოსამზადებელი განყოფილებების ხელმძღვანელები ამბიტიოზურ საბუთებს შემოწმების და განხილვას სათანადო ყურადღებას რომ აქცევდნენ. სწორედ მათ ხელში გაკლილი საბუთებით უმაღლესი სასწავლებლების მოსამზადებელი განყოფილებების მსმენელთა დიდი ნაწილი 1974 წელს ჩარიცხულ იქნა ზემოხსენებული დადგენილების დარღვევით. არასწორად გაცემული ფორმა № 2-ის საფუძველზე კი მნიშვნელოვანი რაოდენობით უკანონოდ დაინარჯა სახელმწიფო თანხები.

ცხადია, მავნე გადმონაშთებისა და მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა, რაც ასე ენერგიულად მიმდინარეობს ჩვენს რესპუბლიკაში, უდაოდ დადებითს შედეგებს იძლევა. მაგრამ მიღწეულით დაკმაყოფილება შეუძლებელია, ვიდრე ჩვენს საზოგადოებაში და კერძოდ ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში ჯერ კიდევ არსებობს სიყალბისა და ბოროტების თუნდაც ერთი ფაქტი.

შარშან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოსამზადებელ განყოფილებაზე ჩარიცხა ბ. მებონია. იგი სოხუმის საქალაქთაშორისო სატელეფონო გაერთიანების სადგურში 1973 წლის ნოემბრიდან 1974 წლის ნოემბრამდე მუშაობდა. აღნიშნული დაწესებულება იმ ორგანიზაციათა კატეგორიას არ ეკუთვნის, რომლებსაც უმაღლეს სასწავლებლებში მოსამზადებელ განყოფილებაზე გაგზავნის უფლება აქვთ. გარდა ამისა, ამ საკითხზე არც საწარმოს მშრომელთა საერთო კრებას გამოუტანია გადაწყვეტილება, მაგრამ მ. მებონიამ მოახერხა ლიბიტის ბლანკის შოვნა, რომელშიც ფიქციურად საერთო კრების ჩატარების თარიღი და ოქმის ნომერიც კი არის ნაჩვენები.

მეორე ფაქტი: ზ. მუმლაძე ლაგოდეხის რაიონის ბაისუბნის კოლმეურნეობაში წევრად მხოლოდ 1974 წლის ოქტომბერში მიიღეს. მეურნეობაში კი ადრე მუშაობდა. 1973 წლის ნოემბერ-დეკემბერში მან 16 შრომადღე გამოიმუშავა, 1974 წლის იანვარში — 7, მარტში — 2, აპრილში — 3, მაისში — 4 და ივლისში—9. თუმცა ამ მაჩვენებლებს მისთვის ხელი არ შეუშლია და იგი უნივერსიტეტის მოსამზადებელი განყოფილების მსმენელი გახდა. მსგავსი შემთხვევები საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტშიც იყო. მაგალითად ოჩამჩირის რაიონის კინდღის კოლმეურნეობაში ვ. ბაზოღაძე 1973 წლის ნოემბრიდან 1974 წლის დეკემბრამდე მუშაობდა. მოსამზადებელ განყოფილებაზე მისი მიღლინების საკითხი კოლმეურნეობის საერთო კრებას არ

მხოლოდ ღირსეულნი

სერიოზული ნაკლოვანებები უმაღლესი სასწავლებლების მოსამზადებელი განყოფილებების დაკომპლექტებაში

განუხილავს. მის შესახებ მხოლოდ კოლმეურნეობის გამგეობის სხდომაზე იმსჯელეს. ინსტიტუტში წარდგენილ სამუშაო სტაჟის ცნობაში ბოლო წლის თვეების გამომუშავების მაჩვენებლები ხელოვნურად გადიდებულია. 1974 წლის იანვარში, თებერვალსა და აპრილში ავადმყოფობის გამო არ უმუშავნია, მაგრამ ცნობის მიხედვით მას ამ თვეებში გამომუშავებული აქვს შესაბამისად 10, 17 და 20 კაცდღე და ა. შ. საერთოდ უკანასკნელ წელს მან 101 დღე გამოიმუშავა, მინიმუმი კი 200 კაცდღეს შეადგენდა.

გასულ სასწავლო წელს სამედიცინო ინსტიტუტის მოსამზადებელ განყოფილებაზე მოწინავის სახელით ჩარიცხა ხულოს რაიონის სოფელ ხიხაძირის კოლმეურნეობის კოლმეურნე გ. გორგაძე, რომელმაც 1974 წლის მანძილზე 79 მანეთი და 74 კაპიკი გამოიმუშავა. მათ შორის იანვარში 3 მანეთი და 12 კაპიკი, თებერვალში 1 მანეთი და 50 კაპიკი, მარტში — 50 კაპიკი, აპრილში — 17 კაპიკი და ა. შ.

ლენტეხის რაიონის სარემონტო-სამშენებლო უბანში მუშაობდა ბ. ლიპარტელიანი. იგი 1974 წლის აგვისტოში, სექტემბერსა და ოქტომბერში ავადმყოფობის გამო ბიულეტენზე იყო და არ მუშაობდა. სტაჟისათვის გაცემულ ცნობაში კი აღნიშნულია, რომ მან აგვისტოში იმუშავა 27 დღე და მიიღო 102 მანეთი, სექტემბერში 25 დღე და მიიღო 94 მანეთი, ხოლო ოქტომბერში 22 დღე და გამომუშავა 72 მანეთი.

ამგვარი მაქინაციებით 1974 წელს სამედიცინო ინსტიტუტის მოსამზადებელ განყოფილებაზე ჩარიცხა დადგენილებათა მოთხოვნის შეუსაბამო შრომითი საქმიანობის მქონე 40, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში — 37, ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში — 18 კაცი. უფრო მეტიც, აღნიშნულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსამზადებელ განყოფილებებში ჩარიცხნენ ახალგაზრდები, რომელთაც არ ჰქონდათ მუშაობის ორი წლის საკანონმდებლო სტაჟი. მაგალითად, სამედიცინო ინსტიტუტის მოსამზადებელ განყოფილებაზე ასე ჩარიცხნენ ბ. დარჯანია, ნ. ბაღათურია, მ. ლაგვილავა, ნ. შელია, ლ. გოგოხია, ნ. კარტოზია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში—ნ. ფილიპენკო, დ. არსენიძე, ო. დოღონაძე, თ. მაზანიშვილი, ნ. ჭყონია, თ. ბელეშაძე, დ. ოდიშვილი, ქ. ჯაფარიძე, ვ. ცხომარია, გ. ცარციძე, ვ. ჯალიაშვილი, მ. ბურძგლა, კ. კამკამიძე, ა. დავრიშჯა, ა. თხილაიშვილი, დ. ლუსუტაშვილი, მ. ბოჭორიშვილი, ზ. ხურმავა, ე. კაპანაძე, ი. ბუხუა. ასე მოხდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტშიც, სადაც ამ გზით განყოფილებაზე 43 ახალგაზრდა მიიღეს.

აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდების არასწორი შერჩევის გზით პოლიტექნიკურ, სამედიცინო ინსტიტუტებსა და სახელმწიფო უნივერსიტეტში „მოწინავეთა" იარლიყით ჩარიცხა სულ 95 ახალგაზრდა, ხოლო მათ გარდა ფორმა № 2-ის მფლობელი 69 კაციდან ბევრმა უკანონოდ გადიდებული სტიპენდია მიიღო.

ამას წინათ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა განიხილა თბილისის სამედიცინო, პოლიტექნიკური ინსტიტუტებისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოსამზადებელ განყოფილებებზე 1974 წელს აბიტურიენტების გაგზავნისა და ჩარიცხვის საქმეში არსებული სერიოზული დარღვევები და მიიღო სათანადო დადგენილება. კომიტეტმა დაავალა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, თბილისის სამედიცინო, პოლიტექნიკური ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტის რექტორატებს, აფხაზეთისა და აჭარის სსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ყველა ქალაქისა და რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტებს განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის და დადგენილებით განსაზღვრული მოსამზადებელი განყოფილებების დაკომპლექტების წესების ზუსტად გატარებისათვის.

ასევე დაევალათ აფხაზეთისა და აჭარის სსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ყველა ქალაქისა და რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტებს, აღმოფხვრის ღონისძიებანი გამოვლენილი დარღვევების ანალიზი, ზოგიერთი ადგილობრივი ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელების მაკაცრი პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც უმაღლესი სასწავლებლების მოსამზადებელ განყოფილებებზე სასწავლებლად ახალგაზრდების შერჩევისა და ჯგუფების დროს დაუშვეს უხეში დარღვევები და ბოროტმოქმედებანი. ამასთან ერთად, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ფორმა № 2-ის უკანონოდ გაცემისათვის, დააკისრონ ფულადი დანარიცხები.

უდავოა, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების კონტროლის კომიტეტები ადგილებზე გაგატარებენ ქმედით ღონისძიებებს, მკაცრად დასჯიან ამ პირებს, რომლებმაც დაუშვეს დარღვევები უმაღლეს სასწავლებლებში მოსამზადებელ განყოფილებებზე ახალგაზრდების შერჩევისა და მიღლინების საქმეში.

კ. ახვლედიანი,

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის სამეცნიერო დაწესებულებების, სახალხო განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე.

ცნობები კომიტეტებიდან

ტრანსპორტს — ყურადღება

ზუგდიდი. რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტმა განიხილა საგზაო-სატრანსპორტო შემოწმებისა წინააღმდეგ ბრძოლისა და სახელმწიფო სატრანსპორტო საშუალებათა დანიშნულებისამებრ გამოყენების მდგომარეობის შემოწმების შედეგები. გამოირკვა, რომ არასაკმაოდ ხორციელდება ზემდგომი ორგანოების დადგენილებები, რომლებიც სატრანსპორტო საშუალებათა შენახვასა და ექსპლოატაციას ეხება. ქალაქის უმეტეს ორგანიზაციას, საწარმოსა და დაწესებულებას ჯერ კიდევ არა აქვს გარაჟები და სპეციალური ავტოსადგომები, დაბალია საწარმოო დისციპლინა, ხშირია შემთხვევები, როცა სატვირთო და მსუბუქი ავტომანქანები, ავტობუსები ღამით ქუჩებსა და მძღოლთა სახლებთან დგას.

თვითნებურად აშენებდნენ

ქობულეთი. საცხოვრებელი სახლებისა და აგარაკების თვითნებური მშენებლობის შესახებ ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესრულების მდგომარეობა შეამოწმა რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტმა. როგორც ითქვა, ამ მიმართებით გატარებული ღონისძიებების შედეგად მკვეთრად შემცირდა უნებართვო მშენებლობანი, თუმცა რაიონის ზოგიერთი კოლმეურნეობის ტერიტორიებზე ჯერ კიდევ ვხვდებით უკანონო მშენებლობის და მიწის ნაკვეთების დაკავების ფაქტებს. შემოწმებით რაიონის 7 კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში გამოვლინდა უკანონოდ მიწის ნაკვეთის დაკავების 127 შემთხვევა. ასეთი მდგომარეობაა ჩაქვისა და ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობების, ქობულეთის, ქვედა აჭყვის, ხოკოლელეგას, კვირიკესა და პირველი მაისის კოლმეურნეობებში და ა. შ.

რატომ არ მოდის წყალი?

ამბროლაური. ბავშვთა სკოლამდელი ასაკის დაწესებულებებსა და საავადმყოფოების კვების ბლოკების საქმიანობის შემოწმების შედეგები განიხილა რაიონის კონტროლის კომიტეტმა. ამ დაწესებულებების კვების ბლოკებში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია. რაიკოოპერატივის ჭელიაღელის, ხარისთვალას სასაუზმეებს. ლიხეთის სახადილოს, ურავის მუშათა და სპეცკვების სასადილოებს არა აქვთ დამხმარე სათავსოები, ჭურჭლის გასარეცხი ცხელი წყალი. მუხლის ხიდის სახადილოში. საერთოდ არ არსებობს ჭურჭლის გასარეცხი სათავსო. უმრავლეს ობიექტებში არ მუშობს მაცივრები, რის გამოც ვერ იცავენ პროდუქტების შენახვის წესებს. ბუგეულის, ჭრობალოს, ნიკორწმინდის, ჭელიაღელის, ხოტიერის, ხვანჭკარის, ხარისთვალის ლიხეთის ბავშვთა დაწესებულებების კვების ბლოკებს ჭურჭლის გასარეცხად არა თუ ცხელი, არამედ გამდინარე ცივი წყალიც კი არა აქვთ.

დისციპლინა ირღვევა

ჯავა. ვანედის კოლმეურნეობის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში სერიოზული დარღვევები და ნაკლოვანებები გამოვლინდა კოლმეურნეობებში დაბალია შრომის დისციპლინა შემოწმებამ დღისათვის კოლმეურნეობაში 156 შრომისუნარიანი კოლმეურნე ითვლებოდა, რომელთაგან შრომაში 59 მონაწილეობს. შრომადღეების მინიმუმი მხოლოდ 13 კაცმა გამოიმუშავა. ნაკლოვანებებია აღრიცხვიანობის, საფინანსო დისციპლინის დაცვის საქმეში. ამ და სხვა ნაკლოვანებებზე სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის სხდომაზე იმსჯელეს და დარღვევებისათვის კოლმეურნეობის ბუღალტერს ა. გაგლოევს საყვედური გამოეცხადა.

ქარიკატურისტის თვალით

სანტექნიკის სპეციალურ მაღაზიაში, რომელიც თბილისში, ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე მდებარეობს, ზოგიერთი დასახელების საქონელს იშვიათად შეხვდებით. სამაგიეროდ იქვე, მაღაზიის გვერდით, რასაც ისურვებთ, იმას მოგარომევენ გადამყიდველები, ოღონდ ათმაგ ფასში.

მკითხველის სიგნალიდან.



სანტექნიკური ტექნიკა.

გ. ლომიძის ნახატი.

თავიც აღარ დამრჩეს?!

დღისით, მზისით, „მზიურით"
თვალს ვუბრმავებ მუშტარს,
სანდოდ თუ არ მეჩვენა,
გადავხედავ კუშტად.
ზოგი უცნაურია,
მტკიცე ფასად ითხოვს;
თავისას რომ ინაღდებს,
ერთი მეცა მკითხოს!
მოთვლილი მაქვს ცალობით,
გეფიცებით გამჩენს,
ეს რა სამართალია,
თავიც აღარ დამრჩეს?!
„დაისი" და „თბილისი"
არა ქმარა ნიხრით!
„ლუქსიც" მას და „მზიურიც",
ვინც ორ ამაზს იხდის.

შ. ამირანაშვილი.

ი. ქოქიაშვილის ნახატი.

ნაუყრუეს

დაუდევრობით საახელმწიფო ქონება გაანიავდა

ჭიათურის სახალხო კონტროლის კომიტეტმა თავის ამასწინანდელ სხდომაზე ზესტაფონის სპეციალიზირებული სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ჭიათურის სამეურნეო უბანში ჩატარებული შემოწმების შედეგები განიხილა. კომიტეტის სხდომას თავის წერილების გარდა ქალაქის მარტიული და ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკებიც ესწრებოდნენ. როგორც გამოირკვა, ამ უბნის საწყობში გამოვლინდა 32.547 მანეთის სახელმწიფო ქონების განიავების ფაქტი. დადგენილია, რომ ეს დანაშაული საწყობის გამგემ ზ. არაბიძემ ჩაიდინა. მან არ გააძართლა ნდობა, უპასუხისმგებლოდ მოეკიდა სახალხო ქონებას, რისთვისაც დააპატიმრეს. ცხადია, მართლმაჯულება ბოროტმოქმედს დამსახურების მიხედვით მიუზღავს.

ეს, რა თქმა უნდა, საქმის ერთი მხარეა. მაგრამ არაბიძე დანაშაულამდე მარტო საკუთარი სურვილით და მონდომებით როდი მივიდა. ამაზე მეტყველებს სწორედ შემოწმების ფაქტები, რომლებიც ბევრ რამეზე ძიგვანიშნებს. უბანში (უფროსი პ. ბაზღაძე) ჩაწერილი იყო სასაწყობო მეურნეობა, არ ხორციელდებოდა სათანადო კონტროლი მატერიალურ ფასეულობათა დაცვის საქმეში. უბნის დაარსების დღიდან ერთხელაც არ ჩატარებულა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტური რევიზია. ისიც ფაქტია, რომ ზარალდ, უხარისხოდ ეწყობოდა მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია.

დიახ, წარმოების ხელმძღვანელების უკონტროლობისა და წაყრუების შედეგად საწყობის გამგე არაბიძე თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი წყალში. ეს მძიმე დანაშაული სწორედ მომთხოვნელობის შესუსტებით და უპასუხისმგებლობით იქმნა ჩადენილი. ჭიათურის სამეურნეო უბანში რატომღაც არავინ დინტერესდა იმით, რომ მ. არაბიძეს ხშირად აკლდებოდა ხელმე ისეთი საქონელი, რომელზეც დიდი მოთხოვნილებაა. განა შეიძლება საწყობის გამგეს რამდენიმე დღის მანძილზე გამოუვლინდეს 139,2 კვადრატული მეტრი პანელის, 6.917 კილოგრამი ზეთოვანი და მშრალი საღებავების, 78,72 კვადრატული მეტრი პარკეტის, 1.327 კილოგრამი ოლიფის, 882 ცალი რუბეროიდის, 280 ცალი ნის შპალების და სხვა მასალების დანაკლისი, რომლის საერთო ღირებულება 32.547 მანეთს შეადგენს?

ერთი სიტყვით, სახელმწიფო ქონება უკონტროლობითა და წაყრუებით ნიავდებოდა.

ამიტომაც კონტროლის კომიტეტმა აღნიშნა ზესტაფონის სპეციალიზებული სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს (უფროსი რ. ჩინჩალაძე) უხეირო მუშაობა. იგი ჭიათურის სამეურნეო უბანზე სათანადო კონტროლს არ აწესებდა, არ ზრუნავდა საქმის უკეთ წარმართვისათვის. ყოველივე ამან მატერიალურ ფასეულობათა დიდი დანაკლისი გამოიწვია.

სამწუხაროა, რომ ჭიათურის სამეურნეო უბანში ჩადენილი დანაშაული ამ ორგანიზაციის სახალხო კონტროლის ჯგუფისათვისაც შეუნიშნავი დარჩა. აღბათ შეენიშნა კიდეც, მაგრამ ნამდვილად რომ თვალის არიდება არჩიეს. ეს კი სახელმწიფოს ძვირად დაუჯდა.

ჭიათურის სახალხო კონტროლის კომიტეტის გადაწყვეტილებით უკონტროლობისა და სასაწყობო მეურნეობაში არანორმალური მდგომარეობის შექმნისათვის, რამაც განაპირობა 32.547 მანეთის მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისი, ზესტაფონის სპეციალიზებული სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ჭიათურის უბნის უფროსი პ. ბაზღაძე, მოადგილე ა. ფიფია და უფროსი ბუღალტერი ვ. ჩინჩალაძე გადაყენებული არიან თანამდებობიდან. სწორედ მოიქცა სახალხო კონტროლის კომიტეტი, როცა პ. ბაზღაძის, პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის ზ. გაფრინდაშვილის და ვ. ჩინჩალაძის პარტიული პასუხისმგებლობის საკითხი განსახილველად საქართველოს კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტში შეიტანა და მასალები შემდგომი ძიებისათვის ქალაქის პროკურატურას გადასცა.

პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის ბიურომ განიხილა კონტროლის კომიტეტის შემოწმების მასალები და მათ საფუძველზე სკკპ რიგებიდან გარიცხა უბნის უფროსი პ. ბაზღაძე და უფროსი ბუღალტერი ვ. ჩინჩალაძე, ხოლო პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი ზ. გაფრინდაშვილი მოხსნა პარტიული ორგანიზაციის მდივნობიდან და გამოუცხადა სასტიკი საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით.

ჯ. ხვედელიძე.

ზარალი აანაზღაურებინეს

ცაგერი. (საკ. კორ. ვ. ცირეკიძე). რაიონის მთელი რიგი კოლმეურნეობები დიდ ზოგებას იღებენ სახელმწიფოსათვის ჯარგი ნაკვები პირუტყვის მიყიდვით. მაგრამ ეს ასე არ ითქმის ალპანის, ლაილაშის, წიფერჩის და ლასურიაშის კოლმეურნეობებზე.

აღნიშნულ კოლმეურნეობათა მეცხოველეობის ფერმებში ცუდად არის დაყენებული პირუტყვის სუქების საქმე. ხშირია საშუალოზე დაბალი ნაკვები პირუტყვის ჩაბარების შემთხვევები, რითაც ზიანი მოსდის რიგორც სახელმწიფოს, ისე კოლმეურნეობას.

მიმდინარე წლის მარტო პირველ კვარტალში ზემოთ აღნიშნულმა ოთხმა კოლმეურნეობამ სახელმწიფოს მიჰყიდა საშუალოზე დაბალი ნაკვები 104,5 ცენტნერი საერთო წონის პირუტყვი, რის შედეგადაც მათ აზარალეს 3.962 მანეთი. აქედან ალპანამ იზარალა 988 მანეთი, ხოლო წიფერჩმა — 840 მანეთი.

ამას წინათ ამ საკითხზე იმსჯელა სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა, რომელმაც დასახა ღონისძიებანი პირუტყვის სუქების საქმის გასაუმჯობესებლად. ამავე დროს მკაცრად დასაჯეს დამნაშავე პირები.

კოლმეურნეობისა თვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით ალპანის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილეს პ. ხურციძეს და ფერმის გამგეს გ. ალავიძეს, წიფერჩის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გ. ნემსიწვერიძეს და ფერმის გამგეს მ. ჩაკვეტაძეს დაეკისრათ თანხის ნაწილის გადახდა.

კონტროლიორები — სოფლის მშრომელთა მხარეს

მეზრუნველი ხელი — ნათესებს

როცა ფხიზლობენ

ჩვენი ჯგუფის სახალხო კონტროლიორები ჯერ კიდევ ალოობის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს ტექნიკის შეკეთებას, მარცვლეულის საშრობ კალოსა თუ მარცვლის სახარისხებელი მექანიზმების მომზადებას, კადრების შერჩევას.

სახალხო კონტროლიორთა დამსახურებაც არის, რომ საერთოდ გურჯაანის რაიონში და კერძოდ ჩვენი სოფლის შაშიანის კოლმეურნეობაში თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება ორგანიზებულად დაიწყო და შემჭიდროებულ ვადებში დამთავრდა.

მაგრამ იმას მაინც ვერ ვიტყვით, რომ ყველაფერი თავიდანვე რიგზე იყო და სახალხო კონტროლიორებს გასაკეთებელი აღარაფერი ჰქონდათ. მკის დაწყების პირველ დღეებში სახალხო კონტროლიორებმა შენიშნეს, რომ ზოგ ნაკვეთში მაღალ ჭრაზე ამუშავებდნენ კომბაინს, თავთავი რჩებოდა, ნამჯის მარცვალი გასდევდა. შენიშნული ნაკლოვანებები კონტროლიორთა მითითებით დაუყოვნებლივ სწორდებოდა, მომდევნო დღეებში მექანიზატორები გაცალებით უკეთ მუშაობდნენ.

სახალხო კონტროლიორებს ახლაც ბევრი საქმე აქვთ. ნაწვერალზე გაწმენდა და ხვნა-თესვა რომ არ გაჭიანურდეს, კვლავ ფხიზელი თვალია საჭირო. ჩვენი კონტროლიორებიც ცდილობენ ეს სამუშაოები სწრაფად და უნაკლოდ დამთავრდეს.

ახლა კვლავ დიდი მუშაობაა გაჩაღებული პირუტყვისათვის უხვი და ყუთიანი საკვების დასაგროვებლად. ჩვენი სახალხო კონტროლიორები ყველგან არიან — სენაჟის ტრანშეებთან, ნამჯისა და თივის დასადგმელ მოედნებზე. ისინი ბეჯითად შრომობენ და ფხიზლად ადევნებენ თვალყურს, რომ საკვები კარგად დაბინავდეს და მაღალი ხარისხი შეინარჩუნოს.

ი. ტატიშვილი,

გურჯაანის რაიონის სოფელ შაშიანის კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.

წალენჯიხის რაიონის სოფელ ფახულანის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ქ. შონია) ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს ყველა სახეობაში შეასრულა მეცხრე ხუთწლედის გეგმა-ვალდებულება. აჭაური კოლმეურნეები ახლა მომავალი ხუთწლედის ანგარიშში შრომობენ. ამ სურათზე აღბეჭდილ სახალხო კონტროლიორებს შეუმოწმებელი არც ერთი უბანი არ რჩებათ. ისინი მეჩაიეებისა თუ მეცხოველეების, ხაკოლმეურნეო მშენებლობების ხშირი სტუმრები არიან. სურათზე: სახალხო კონტროლიორები (მარცხნიდან) ჯ. გერგედავა, ვ. შონია, ზ. გოგოხია და გრ. გოგოხია ამოწმებენ სიმინდის ვარგისიანობას.

გ. გოგოხიას ფოტო.

საგუშაგოები სასენაჟე ორმოებთან

რა დასამალია, ორიც თუ შორეულ წარსულში ჩვენს საბჭოთა მეურნეობაში სათანადო ყურადღება არ ექცეოდა მტკიცე საკვები ბაზის შექმნას, რის გამოც ხშირად პირუტყვის გამოზამთრება არანორმალურად მიმდინარეობდა, ეს კი საბოლოო ანგარიშით იწვევდა ხორცისა და რძის პროდუქტების წარმოების გეგეგების შეუსრულებლობას.

საკვების დამზადების საქმეში სულ სხვა სურათია წლეულს, როცა მეურნეობაში მიზნად არის დასახული, შექმნათ საკვების წლინახევრის მარაგი. და რომ ეს რეალურ სინამდვილედ იქცეს, წლეულს გადაწყვეტეთ დაგამზადოთ 1300 ტონა სენაჟი.

საკვების დამზადების კამპანიის დროს მთავარია მტკიცე კონტროლის დაწესება. მეურნეობის სახალხო კონტროლიორებმა შეეძიებინეთ მოქმედების სპეციალური გეგმა, თვითეულ სასენაჟე ორმოსთან შექმენით საგუშაგოები. საგუშაგოებმა შენიშნეს, რომ აქა-იქ სენაჟის ჩადებასა ისრეოდა სასენაჟე მასის შეკავნობის ნორმები, დატკეპნის წესები, ზოგჯერ მინდვრიდან მოტანილ მასას აუორთქლებლად დებდნენ. სახალხო კონტროლიორებმა ეს საკითხები სპეციალური მსჯელობის საგნად აქციეს, დღეისათვის ასეთი ხასიათის ნაკლოვანებანი გამოსწორებულია.

კონტროლიორები უშუალო აქტივობით დაეხმარენ ახალი სასენაჟე ორმოების მშენებლობა. ეხლა მეურნეობას საშუალება აქვს სენაჟი გაცილებით მეტი დაამზადოს, ვიდრე წლინახევრის მარაგი ითვალისწინებს.

ვ. სულეიმანოვი,

მარნეულის რაიონის არაფლოს მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მთავარი ზოოტექნიკოსი, სახალხო კონტროლიორი.

ყველგან ვნევდებით

ნინოწმინდის კოლმეურნეობის სამეურნეო წარმატებები კარგად არის ცნობილი. კოლმეურნეობის სახალხო კონტროლიორთა ჯგუფი და ცალეული საგუშაგოები სეზონურ მუშაობას ეწევიან იმისათვის, რომ მივაღწიოთ კიდევ უფრო მეტ წარმატებებს.

მოსავლის აღება რომ დავამთავრეთ, როდი დავმშვიდდით. წუთითაც არ ვივიწყებთ სათხილი კულტურების რწყვასა და პირუტყვის საკვების დამზადებას. ამ უბანზე მომაგრებული გვყავს სასახლო კონტროლიორები, რომლებიც თვითონაც მონაწილეობენ და ამასთან ერთად ფხიზლად ადევნებენ თვალყურს სამეურნეო საქმიანობას, რათა აღიკვეთოს დანაშაული, არ მოხდეს საზოგადებრივი ქონების დატაცება.

ვ. ასრათაშვილი,

საგარეჯოს რაიონის ნინოწმინდის კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.

ხარისხის ქომაგნი

წითელწყაროს რაიონის სოფელ ქვემო ქედის კოლმეურნეობაში მოსავლის აღების წარმატებით დამთავრებისათვის პარტიულ ორგანიზაციასთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ სახალხო კონტროლიორები.

სურათზე: (მარცხნიდან) სახალხო კონტროლიორები ლ. გრიგორიადისი, ა. ბექაური, კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი ზ. ხუციურაული და აგრონომი ვ. ხარხელაური ამოწმებენ კალოზე გალეწილი ხორბლის ხარისხს.

ფოტო ს. კილაძისა.

გავაძლიერეთ კონტროლი და თვითკონტროლი — წინსვლის გერკეტი

ᲓᲦᲔᲡ

თანამშრომლობის კარგი დასაწყისი

პრეს-კონფერენცია ორბიტაზე

ᲰᲘᲣᲡტᲝᲜი, ფრენის მართვის ცენტრი, (საკ. სპეც. კორ.). კოსმოსურ ხომალდ „აპოლონსა“ და ორბიტაზე პრეს-კონფერენცია მოაწყო. ამერიკელმა ასტრონავტებმა გაუზიარეს ჟურნალისტებს შთაბეჭდილებები „სოიუზ-19“ სატელევიზიო ხომალდთან ერთობლივი ფრენის შესახებ.

როგორც თ. სტაფორდმა განაცხადა, ფრენამ ცხადყო, რომ ორ ქვეყანას შეუძლია ერთად იმუშაოს ძალზე ძნელი და რთული ამოცანების შესასრულებლად. ეს ექსპერიმენტის უმთავრესი მიღწევაა. ფრენისათვის მზადების პროცესში გადალახეს მნიშვნელოვანი სიძნელეები. ეს კი მოწმობს, რომ სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები ძალეულ შეძლებენ ითანამშრომლონ ისეთ რთულ დარგში, როგორიცაა კოსმოსური კვლევა.

როგორ აფასებს „აპოლონის“ ეკიპაჟი საბჭოთა კოსმონავტებთან ერთობლივ მუშაობას? როგორი იყო დედამიწაზე სპეციალისტთა თანამშრომლობის როლი? ამ კითხვების პასუხად თ. სტაფორდმა თქვა: „კოსმონავტები და ტექნიკური სპეციალისტები ორი წლის განმავლობაში ერთად მუშაობდნენ. ეფუძნობ, თანამშრომლობა როგორც კოსმოსში, ისე დედამიწაზე კარგი იყო“.

ვ. ბრანდმა დასძინა: „ჩვენ შეეგუენით ვმუშაობდით საბჭოთა კოსმონავტებთან, ერთობლივად ვანხორციელეთ მთელი რიგი ექსპერიმენტები. ახლა ჩვენ კარგი მეგობრები ვართ, და, რა თქმა უნდა, ჩვენი თანამშრომლობა საუკეთესო იყო. ყველაზე დიდნაწილი შეხვედრა ეხებოდა ექსპერიმენტებს, ეს ექსპერიმენტები ინტენსიურად ტარდებოდა. ეს ინფორმაცია ეხებოდა ადამიანებს, ეს ინფორმაცია ეხებოდა ტექნიკურ საკითხებს, ეს ინფორმაცია ეხებოდა ... ეს ინფორმაცია ეხებოდა ...“

ᲐᲠᲐᲑᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲔᲒᲕᲘᲞᲢᲘᲡ ᲐᲠᲐᲑᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲙᲐᲘᲠᲝ, (საკ.). ეგვიპტის არაბთა სოციალისტური კავშირის ხაუოველთაო ეროვნულ კონგრესზე გამოსვლისას, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ა. სადათმა განაცხადა, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობა ახლა სწავლობს ეგვიპტისადმი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მიმართვას განუახლოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო ძალებს სინას ნახევარკუნძულზე ყოფნის მანდატი, და უახლოეს დროში გასცემს პასუხს.

შეუწყარეველია, თქვა ა. სადათმა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო ძალებს იყენებდნენ ოკუპაციის „ეურთხვეის ან ჩიხის შენარჩუნებისათვის“, რათა დაამკვიდრონ რაიმე მომხდარი ფაქტი.

ახლანდელ სიტუაციაში, თქვა შემდეგ პრეზიდენტმა, მთავარია, რომ განმათავისუფლებელი ომი ჯერ არ დამთავრებულა. ძლიერი ეროვნული არმიის ყოლა — ეს დროებითი აუცილებლობა როდია. ასეთი არმია მუდამაა საჭირო.

შეეხო რა საშინაო პოლიტიკას, ა. სადათმა ხაზი გაუსვა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს 1952 წლის 23 ივლისის რეზოლუციას. მან აღნიშნა, რომ საჭიროა სოციალურ გარდაქმნათა განგრძობა და ქვეყნის ეკონომიური პროგრესის დაჩქარება.

უპასუხა რა კონგრესის დელეგატთა კითხვებს, ა. სადათმა განაცხადა: მე შევუთანხმდი პრეზიდენტ ჯ. ფორდს, რომ ამერიკა განაგრძობს ამ რაიონში კრიზისის გადაწყვეტის გზების ძიების ცდებს. ჩვენ აგრეთვე შევთანხმდით, რომ როგორი გარემოებაც უნდა შეიქმნას, გავემგზავრები ჟენევაში, იმიტომ, რომ მშვიდობა შეიძლება დამყარდეს მოლაპარაკებაში მხოლოდ ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობის შედეგად, ხოლო ამისათვის ერთადერთი ადგილია ჟენევა.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜი

ᲔᲘᲫᲔᲑᲔᲜ ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲡ

ᲚᲘᲡᲑᲝᲜი

ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲥᲛᲔᲚᲐᲓ

ᲑᲠᲐᲖᲐᲕᲘᲚᲘ

ᲐᲜᲒᲝᲚᲐᲨᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲨᲔᲣᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲫᲠᲐᲑᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲨᲘ

ᲐᲜᲒᲝᲚᲐ ᲛᲝᲣᲬᲝᲓᲔᲑᲔᲜ ᲡᲘᲛᲨᲕᲘᲓᲘᲡᲐᲙᲔᲜ

ᲚᲘᲡᲑᲝᲜი, (საკ.). პორტუგალიაში კვლავ დაძაბული ვითარებაა. ადგილებიდან მოდის ცნობები შეიარაღებული ძალების მოძრაობის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის შეტაკების შესახებ, ცალკეულ ანტიკომუნისტურ დემონსტრაციებსა და პროვოკაციულ გამოსვლებზე, რომლებსაც სოციალისტები უჭერენ მხარს, და პოგარესული და დემოკრატიული ძალების კონტრდემონსტრაციებზე.

შეიარაღებული ძალების მოძრაობის რევოლუციერმა საბჭომ წუხელ გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც მოსახლეობას სიმშვიდისაკენ მოუწოდა. მან გადაწყვიტა მოიწვიოს შეიარაღებული ძალების მომრაობის 240 კაცისგან შემდგარი ასამბლეა ახალი მთავრობის შედგენის საკითხის განსახილველად. როგორც ცნობილია, რამდენიმე დღის წინათ პრეზიდენტმა კოშტა გომეშმა რევოლუციური საბჭოს სახელით მოუწოდა პოლიტიკურ პარტიებს არ დაუშალონ თავიანთ წევრებს არაპარტიულ საფუძველზე მიღონ მონაწილეობა ეროვნული ერთიანობის მთავრობაში.

ამ მოწოდების შესაბამისად ვასკუ გონსალვეშმა სხვებთან ერთად საკონსულტაციოდ მოიწვია ძველი მთავრობიდან გამოსული ორი პარტიის — სოციალისტური და სახალხო-დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლები. ამ მოწვევის პასუხად სოციალისტური პარტიის ლიდერმა აქ გამოქვეყნებულ კომუნიკეში დაადასტურეს თავიანთი მოთხოვნა პრემიერ-მინისტრის პოსტიდან ვასკუ გონსალვეშის გადადგომის შესახებ. უფრო მეტიც, ისინი პარტიიდან გარიცხვით დაემუქრნენ ყველა სოციალისტს, რომელიც დათანხმდება შევიდეს ვასკუ გონსალვეშის მიერ შედგენილ მთავრობაში. თავის მხრივ სახალხო დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ იგი სოციალისტებისაგან დამოუკიდებელ პოლიტიკას ეწევა და მთავრობაში მონაწილეობის პირობად არ აყენებს ვასკუ გონსალვეშის გადადგომას. მაგრამ სახალხო-დემოკრატიული პარტიის გენერალურმა მდივანმა ე. გერეირუმ გაზეთ „ეორნალ ნოვუსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მისი ხელმძღვანელობა არ ურჩევს პარტიის წევრებს შევიდნენ მთავრობაში, სანამ არ მიიღებენ გარანტიებს ამ პარტიის მთელი რიგი პოლიტიკური მოთხოვნების შესრულების შესახებ.

ᲗᲔᲖᲘᲡᲔᲑᲘ ᲓᲐᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲡ

ᲡᲝᲤᲘᲐ, (საკ.). 22-23 ივლისს სოფიაში გაიმართა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა დაამტკიცა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თეზისები მეშვიდე ხუთწლედში, აგრეთვე 1990 წლამდე პერიოდში მეცნიერების განვითარებისა და ტექნიკური პროგრესის ძირითადი მიმართულებების თაობაზე და მიიღო დადგენილება პარტიისა და სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური საქმიანობის შესახებ.

ᲒᲣᲚᲘᲡᲬᲧᲠᲝᲛᲘᲗ ᲒᲛᲝᲒᲔᲜ

ᲩᲘᲚᲔᲚ ᲙᲐᲢᲠᲘᲝᲢᲗᲐ ᲓᲐᲡᲙᲐᲪᲕᲐᲓ

ᲒᲣᲔᲜᲝᲡ-ᲐᲘᲠᲔᲡი, (საკ.). პინოჩეტის სამხედრო-ფაშისტური რეჟიმი, რომელიც ხელს უშლის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიის წარმომადგენლების ჩასვლას ჩილეში, ცდილობს დაფაროს თავისი დანაშაულებანი ჩილელი ხალხის წინააღმდეგ. ამას წერს ჩილეს კომუნისტური პარტიის გაზეთი „უნიდად ანტიფაშისტა“, რომელიც არალეგალურად გამოდის.

მოქალაქეობრივ თავისუფლებათა ფეხქვეშ გათელვა, სისტემა საკონცენტრაციო ბანაკებისა, სადაც ამწყდეევენ ხალხის საუკეთესო შვილებს, აბუჩად აგდება, წამება, მკვლელობა, ეგრეთ წოდებული „სპეციალური სასჯელების“ საქმიანობა, სადაც თავიანთ ბნელ საქმეს სჩადიან ეროვნული სადაზვერვო სამმართველოს ჯალათები, — აი არასრული ნუსხა დანაშაულებისა, რომლებიც გენერალთა ხროვამ ჩაიდინა ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ. მაგრამ ფაშიზმს, ხასს უსვამს გაზეთი, არ ძალუძს ჩაახშოს ხალხის გულისწყრომით აღსავსე ხმა, რომელიც მოითხოვა შეწყდეს ტერორი და რეპრესიები.

ᲰᲐᲕᲐᲜᲐ, (საკ.).

ჩილეს სოციალისტური პარტიის წარმომადგენლებმა მოუწოდეს გააქტიურონ ბრძოლა რეპრესიებისა და დაპატიმრებათა წინააღმდეგ, რომლებსაც ჩილეს სამხედრო ხუნტა ახორციელებს და რომლებიც ამ ბოლო დროს განსაკუთრებით გაძლიერდა. მათ ხაზი გაუსვეს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიის წარმომადგენლებისათვის ჩილეში ჩასვლის ნებართვაზე უარის თქმით ხუნტამ აბუჩად აიგდო მთელი კაცობრიობა, დაარღვია საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები.

ჩილედან მიღებული ცნობებით მარტო გასულ თვეს დაპატიმრეს სოციალისტური პარტიის 24 ხელმძღვანელი და აქტივისტი.

ᲢᲔᲚᲔᲢᲐᲘᲞᲘᲡ ᲚᲔᲜᲢᲘᲓᲐᲜ...

სოფია

„ლულაკა“ — ასე ეწოდება უდიდეს სატუმბავ სადგურს დუნაიზე, რომლის მშენებლობა დამთავრდა ბულგარეთის ქალაქ რუსას მახლობლად. დაიწყო მისი პირველი აგრეგატის სამუშაო გამოცდა, გახაშვებად ამზადებენ დანარჩენ სამ აგრეგატს. სადგური წამში გადატუმბავს 20 კუბურ მეტრზე მეტ დუნაის წყალს და უზრუნველყოფს 18 ათასი ჰექტარი ფართობის რწყვას.

დაკარი

აქ ხელი მოაწერეს ოქმს 1975-1976 წლებისათვის საგზაო კავშირისა და სენეგალის რესპუბლიკის კულტურული თანამშრომლობის შესახებ. ოქმი ითვალისწინებს სენეგალისათვის ხელშეწყობას ეროვნული კადრების მომზადების, მსახობთა დასების, გამოფენების, კულტურის მუშაკთა დელეგაციების გაცვლის საქმეში.

კაირო

ეგვიპტის არაბთა სოციალისტური კავშირის საყოველთაო ეროვნული კონგრესის სხდომაზე მილის გადაყვეტილება დასასახელონ ა. სადათი ქვეყნის პრეზიდენტად მოიდევნო 6 წლის ვადით (ა. სადათი ამ პოსტზე აირჩიეს 1970 წლის ოქტომბერში).

კარაკასი

ვენესუელაში ნავთობის მრეწველობის მოძავალ ნაციონალიზაციასთან დაკავშირებით უცხოეთის კონცერნებმა, რომელთა ხელში ჯერ კიდევ თავმოყრილია ნავთობის სარეწები, ახალ მაქინაციებს მიმართეს. როგორც ვენესუელის მენავთობე მშრომელთა ფედერაციამ განაცხადა ამ ბოლო დროს მონოპოლიები ქვეყნის მთელ რიგ შტატებში მასობრივი წესით ითხოვენ მუშებს.

მენავთობეთა პროფკავშირი აღნიშნავს, რომ მონოპოლიათა ეს აქციები მიზნად ისახავენ მუშათა განაწყენებას, არეულობის პროვოკაციოდან გამოწვევას და, საბოლოო ანგარიშით, ვენესუელის ბუნებრივ სიმდიდრეთა ნაციონალიზაციის პროცესის შეფერხებას.

ლონდონი

ინგლისში გრძელდება უმუშევრობის ზრდა. გაზეთ „ფაინენშელ ტაიმსის“ ცნობით, ქვეყნის მარტო წამყვანი საავტომობილო ინდუსტრიის საწარმოებში უკანასკნელი 12 თვის მანძილზე სამუშაო ადგილების რიცხვი 33 ათასით შემცირდა. ბოლო 6 თვის განმავლობაში 20 ათასზე მეტმა ავტომობილმშენებელმა დაკარგა სამუშაო.

მოკლედ

ᲩᲘᲚᲔᲚ ᲙᲐᲢᲠᲘᲝᲢᲗᲐ ᲓᲐᲡᲙᲐᲪᲕᲐᲓ

ᲒᲣᲚᲘᲡᲬᲧᲠᲝᲛᲘᲗ ᲒᲛᲝᲒᲔᲜ

ᲒᲣᲔᲜᲝᲡ-ᲐᲘᲠᲔᲡი, (საკ.). 24 ივლისი

ᲛᲝᲣᲬᲝᲓᲔᲑᲔᲜ ᲡᲘᲛᲨᲕᲘᲓᲘᲡᲐᲙᲔᲜ

ᲚᲘᲡᲑᲝᲜი, (საკ.). პორტუგალიაში კვლავ დაძაბული ვითარებაა. ადგილებიდან მოდის ცნობები შეიარაღებული ძალების მოძრაობის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის შეტაკების შესახებ, ცალკეულ ანტიკომუნისტურ დემონსტრაციებსა და პროვოკაციულ გამოსვლებზე, რომლებსაც სოციალისტები უჭერენ მხარს, და პოგარესული და დემოკრატიული ძალების კონტრდემონსტრაციებზე.

შეიარაღებული ძალების მოძრაობის რევოლუციერმა საბჭომ წუხელ გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც მოსახლეობას სიმშვიდისაკენ მოუწოდა. მან გადაწყვიტა მოიწვიოს შეიარაღებული ძალების მომრაობის 240 კაცისგან შემდგარი ასამბლეა ახალი მთავრობის შედგენის საკითხის განსახილველად. როგორც ცნობილია, რამდენიმე დღის წინათ პრეზიდენტმა კოშტა გომეშმა რევოლუციური საბჭოს სახელით მოუწოდა პოლიტიკურ პარტიებს არ დაუშალონ თავიანთ წევრებს არაპარტიულ საფუძველზე მიღონ მონაწილეობა ეროვნული ერთიანობის მთავრობაში.

ამ მოწოდების შესაბამისად ვასკუ გონსალვეშმა სხვებთან ერთად საკონსულტაციოდ მოიწვია ძველი მთავრობიდან გამოსული ორი პარტიის — სოციალისტური და სახალხო-დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლები. ამ მოწვევის პასუხად სოციალისტური პარტიის ლიდერმა აქ გამოქვეყნებულ კომუნიკეში დაადასტურეს თავიანთი მოთხოვნა პრემიერ-მინისტრის პოსტიდან ვასკუ გონსალვეშის გადადგომის შესახებ. უფრო მეტიც, ისინი პარტიიდან გარიცხვით დაემუქრნენ ყველა სოციალისტს, რომელიც დათანხმდება შევიდეს ვასკუ გონსალვეშის მიერ შედგენილ მთავრობაში. თავის მხრივ სახალხო დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ იგი სოციალისტებისაგან დამოუკიდებელ პოლიტიკას ეწევა და მთავრობაში მონაწილეობის პირობად არ აყენებს ვასკუ გონსალვეშის გადადგომას. მაგრამ სახალხო-დემოკრატიული პარტიის გენერალურმა მდივანმა ე. გერეირუმ გაზეთ „ეორნალ ნოვუსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მისი ხელმძღვანელობა არ ურჩევს პარტიის წევრებს შევიდნენ მთავრობაში, სანამ არ მიიღებენ გარანტიებს ამ პარტიის მთელი რიგი პოლიტიკური მოთხოვნების შესრულების შესახებ.

Ა. ᲡᲐᲓᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ᲔᲒᲕᲘᲞᲢᲘᲡ ᲐᲠᲐᲑᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲖᲔ

ᲙᲐᲘᲠᲝ, (საკ.). ეგვიპტის არაბთა სოციალისტური კავშირის ხაუოველთაო ეროვნულ კონგრესზე გამოსვლისას, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ა. სადათმა განაცხადა, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობა ახლა სწავლობს ეგვიპტისადმი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მიმართვას განუახლოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო ძალებს სინას ნახევარკუნძულზე ყოფნის მანდატი, და უახლოეს დროში გასცემს პასუხს.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜი

ᲔᲘᲫᲔᲑᲔᲜ ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲡ

ᲚᲘᲡᲑᲝᲜი

ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲥᲛᲔᲚᲐᲓ

ᲑᲠᲐᲖᲐᲕᲘᲚᲘ

ᲐᲜᲒᲝᲚᲐᲨᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲨᲔᲣᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲫᲠᲐᲑᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲨᲘ

ᲙᲐᲜᲝᲜᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲣᲐᲠᲧᲕᲔᲡ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜი, (საკ.). ამერიკის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ 262 ხმით 167 ხმის წინააღმდეგ უარყო მთავრობის კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის შიგნით წარმოებული ნავთობის ფასებისადმი კონტროლის თანდათანობით გაუქმებას. ეს გადაწყვეტილება მიიღეს ერთ დღეში მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა ჯ. ფორდს ვეტო დაადო კონგრესის მიერ მიღებულ კანონპროექტს, რომელიც ითვალისწინებდა ამერიკის შეერთებულ შტატებში მოპოვებული ნავთობის ფასებისადმი უფრო მკაცრი კონტროლის დაწესებას.

ენერგეტიკის დარგში ღონისძიებათა გარშემო კონგრესსა და მთავრობას შორის გაჩაღებული ბრძოლა მოწმობს ამ პრობლემის სიმწვავეს ამერიკის შეერთებულ შტატებში და იმის, რომ ვაშინგტონში ხელისუფლების უმაღლეს წრეებში სერიოზული უთანხმოებანია ენერგეტიკული კრიზისის გადაჭრის გზების საკითხში. თეორიულად ეს იმ აზრისაა, რომ ადგილობრივი ნავთობის ფასებისადმი კონტროლის შენარჩუნება კიდევ უფრო შეამცირებს ამერიკის შეერთებულ შტატებში ნავთობის მოხმარებას, და შეერთებული შტატები კიდევ უფრო დამოუკიდებელი გახდება ნავთობის უცხოეთის წყაროებზე. მთავრობის გეგმის მოწინააღმდეგეებს კონგრესში თავის მხრივ მიაჩნიათ, რომ მისი რეალიზაცია ხელს შეუწყობს ინფლაციის ზრდას და გააღრმავებს ეკონომიურ სიძნელეებს, რომელსაც ქვეყანა განიცდის.

როცა ცნობილი გახდა მთავრობის კანონპროექტისათვის კენჭისყრის შედეგი, პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა განაცხადა, კონგრესმენთა გადაწყვეტილებამ „იმედი გამიცრუაო“. ჩვენ მკვდარი წერტილიდან უნდა დავიძრათ ენერგეტიკული დამოუკიდებლობის მიღწევის მიმართულებით და მოსაპოვო ჩვენი დამოკიდებულება უცხოეთის წყაროებზე, სანამ იგი მეტისმეტად მნიშვნელოვანი გახდებოდეს“, — თქვა მან.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ



ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ ᲓᲦᲔᲡ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ პოლონელმა ხალხმა საზეიმო ვითარებაში აღნიშნა რესპუბლიკის აღორძინების დღე. ახლანდელ ვარშავაში გერმანელ ფაშისტთა ბარბაროსობის კვალიც კი ადარ დარჩა. თვალს ახარებს არქიტექტურულად მდიდარი ახალი საცხოვრებელი მასივები, მთლიანად არის აღდგენილი სტარე მიასტო, ნოვი სვიატი, განიერი ქუჩები და ბულვარები, თვალს იტაცებს საუცხო ბაღები და სკვერები.

ვარშავის სილამაზის მთავარი საიდუმლოება — ეს არის მცხოვრებთა უსაზღვრო სიყვარული მშობლიური ქალაქისადმი, თავისებური ეროვნული ეგზოტიკა.

სურათებზე: (მარცხნივ) ვარშავის ერთ-ერთი რაიონის ახალი კვარტალი; (მარჯვნივ) სახალხო წყალზე ლაზენკოვის პარკში.

ᲪᲐᲢᲐ-ᲡᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲡ ფოტო.

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

ᲫᲛᲝᲑᲘᲡ ᲤᲔᲡᲕᲔᲑᲘ

ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲔᲑᲘ

ᲫᲛᲘᲛᲘ ქართველი და აფხაზი ხალხების კულტურული ურთიერთობა შორეული საუკუნეებიდან იღებს სათავეს. მათ და მათმა წინაპრებმა უსსოვარი დროიდან შექმნეს უდიდესი კულტურა, რომელიც უძველესი ცივილიზაციის უდიდესი მონაპოვარი იყო.

ამ ორი ხალხის მეგობრული ურთიერთობა საკმაოდ მაღალ საფეხურზე აყიდა საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, განსაკუთრებით კი XIX საუკუნის სამოციანი წლებიდან, როდესაც სამოღვაწეო ასპარეზზე ქართველი განმანათლებლები გამოვიდნენ და მხნედ აღმართეს ხალხთა ძმობის, მეგობრობის და თანასწორუფლების დიადი დროშა.

ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი მუდამ დიდ ინტერესს ამჟღავნებდნენ აფხაზი ხალხის კულტურულ-ეკონომიური, პოლიტიკური და საერთოდ მათი ინტელექტუალური ცხოვრების მიმართ. ქართული პერიოდული პრესა სამოციანი წლებიდან სისტემატურად განიხილავდა აფხაზი ხალხის როგორც წარსულ, ისე თანამედროვე ცხოვრებას, ქართველი მამულიშვილები აქტიურად მონაწილეობდნენ აფხაზური ანბანის შექმნაში, სკოლების დარსებაში, აფხაზური თეატრალური კულტურის შექმნისა და შემდგომი განვითარების საქმეში... თვით აფხაზი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი გვერდში უდგნენ ქართველ მამულიშვილებს და მათთან ერთად იბრძოდნენ ცარიზმის წინააღმდეგ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში მრავალმა აფხაზმა მოღვაწემ ფრიად საპატიო ადგილი დაიმკვიდრა.

ქართულ-აფხაზური ურთიერთობა ამ მიმართულებით დღემდის სპეციალურად შესწავლილი არ ყოფილა. პროფესორმა ომარ ჭელულეამ მიზნად დისახა ამ ხარვეზის შევსება და წარმოგვიდგინა საყურადღებო ნაშრომი „ნარკვევები ქართულ-აფხაზური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან“ (გამომცემლობა „ალაშარა“, სოხუმი). თემის აქტუალობა და მისდამი განსაკუთრებული ინტერესი დღეს საკმაოდ დიდია, რადგან არც თუ დიდი ხნის წინათ ზოგიერთმა მკვლევარმა მცდარად გიგო და ცალმხრივად წარმოადგინა ზოგიერთი ფაქტი ქართველი და აფხაზი ხალხების ურთიერთობისა.

ავტორს საკმაოდ უხვი მასალა გამოუყენებია. ეს არის როგორც მეცნიერული ლიტერატურა, ისე საარქივო მასალები და პერიოდული პრესა. საარქივო მასალების ერთი ნაწილი ბკვლევარის მიერ პირველად არის მიგნებული და წარმოჩენილი.

გამოყენებული მეცნიერული შრომებისადმი ო. ჭურღულიას დამოკიდებულება საკმაოდ [illegible] დაუფასებელია. ზოგიერ[illegible] უარყოფილია ის მცდარი შეხედულებები, რომლებიც ჩრდილს აყენებდა და აბუნდოვანებდა ამ ორი ხალხის ურთიერთობის საკითხს.

საინტერესოა ნაშრომის პირველი თავი — „XIX საუკუნის ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები აფხაზეთის შესახებ“. აქ ავტორი მეტნაკლები სისრულით მიმოიხილავს გრ. ორბელიანის, ილ. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, ი. გოგებაშვილის და ხ. მესხის დამოკიდებულებას აფხაზი ხალხის, მისი კულტურის მიმართ.

უდავოდ სწორია ო. ჭურღულიას დებულება, რომ აფხაზეთში მოღვაწე ქართველი მწერლები და პედაგოგები, რომელნიც საგულდაგულოდ სწავლობდნენ და ბეჭდავდნენ მასალებს აფხაზეთის ისტორიის, კულტურის, ეთნოგრაფიის, ხალხური შემოქმედების, აფხაზური ენის და სხვა საინტერესო საკითხების ირგვლივ, აფხაზი ხალხის ისტორიის და კულტურის მეცნიერული შესწავლის პირველი წარმომადგენლები იყვნენ, რომელთა ფასდაუდებელი ღვაწლი ავტორის მიერ დაწვრილებით არის აღნუსხული და გადმოცემული.

სარეცენზიო შრომის მესამე თავი აფხაზური თეატრის შექმნის საკითხს ეთმობა. მართალია, „ამ საკითხის სრულყოფილად გაშუქებისათვის ავტორს მცირე მასალა ჰქონდა ხელთ, რადგანაც ჯრუსა სისტემატურად არ აშუქებდა სცენისმოყვარეთა საქმიანობას, ერთგვარი ზედაპირული იყო რეცენზიებიც, ხოლო ცოცხალი მოწმენი უკვე დიდხანია აღარ არიან, მაგრამ ნაშრომის ეს ნაწილი მაინც საინტერესოა, თუმცა სრული არ არის.

ნაშრომის ბოლო, მეოთხე თავში დღემდე უცნობი მრავალი მასალის საფუძველზე ნაჩვენებია, თუ რაოდენ მჭიდრო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ აფხაზეთის მოწინავე შვილები გრიგოლ, კონსტანტინე და გიორგი შარვაშიძეები, დავით ანჩაბაძე, დიმიტრი გულია და სხვანი ქართველ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან, ქართულ კულტურასთან.

ცარიზმის გამომეშველი პოლიტიკით აღელვებული აფხაზი ხალხი მუდამ მოისწრაფოდა „დიდა ქართლისაკენ“. პირველი მსოფლიო ომის ქარცეცხლიანან დღეებში მოწოდებად ისმოდა აფხაზი მამულიშვილების ამაღელვებელი სიტყვები: „დიდი ხნიდან დაკსაჭსულნი ძმანი ძლივს ერთი კერის ირგვლივ — დიდა ქართლის გაარშემო ვიკრიბებით... მომეცით გზა განათლებული ცხოვრებისა და ნუ მომწყვეტთ დედა საქართველოს მკერდს, მე მისი ძუძუ მიწოვნია, იგი ჩემით ხაზრდოებულა: მასთან სიცოცხლე, მასთან სიკვდილი! — ასე იყო ძველად, ასევე უნდა იყოს ახლაც“...

ნაშრომში ისიც ნათლად არის ნაჩვენები, თუ როგორ გააგრძელა დ. გულიამ თავისი სახელოვანი წინაპრების დიდებული ტრადიციები საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში, დიდების ჰიმნი უმღერა ქართველი და აფხაზი ხალხების ჭეშმარიტ მეგობრობას და ეს დიადი გრძნობა გულწრფელად უანდერძა თანამედროვე თაობას...

ქართულ და აფხაზურ საბჭოთა პოეზიაში დღეს მძლავრად გაისმის ურღვევი ძმობის სიგალობელი.

Ი. ᲑᲝᲪᲕᲐᲫᲔ,
პროფესორი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ᲡᲐᲙᲔᲓᲚᲘᲡი და ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲔᲑᲘ ᲘᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲘᲐᲜ

ᲕᲘᲗᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲘᲐ

ᲑᲠᲐᲖᲐᲕᲘᲚᲘ, (საკ.). ანგოლაში ვითარება კვლავ რთული და წინააღმდეგობით აღსავსეა. იმ ცნობის მიუხედავად, რომ თითქოსდა მიღწეულია შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, ქვეყნის დედაქალაქ ლუანდაში კვლავ ისმის სროლა.

გუშინ საღამოს დედაქალაქის ცენტრში მდებარე გაზეთ „ეორნალ და ანგოლას“ შენობაში ბომბის აფეთქების შედეგად დაიჭრა რამდენიმე კაცი. ლუანდიდან მიღებული ცნობებით, გრძელდება შეიარაღებული შეტაკება ქალაქის სხვა რაიონებშიც.

ანგოლის დეკოლონიზაციის მოწინააღმდეგენი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, კვლავ უჭერენ მხარს ანგოლის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ხრიკებს, რომლის შეიარაღებული რაზმები ტანგებისა და არტილერიის თანხლებით მიიწევენ ლუანდისაკენ, სადაც შტაბ-ბინა აქვს ქვეყნის ყველაზე წარმომადგენლობით ეროვნულ-განმათავისუფლებელ ორგანიზაციას — ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობას.

რიღისაქენ მიმავალ გზაზე



აფხაზეთის შავი ზღვის სანაპიროზე გახურებულია საკურორტო ხეზონი.

ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოსული ათეულათასობით დამსვენებელი ძალას იკრებს და კაუდება ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის კერებში — სოხუმსა და გაგრაში, გუდაუთსა და ლესელიძეში, ბიჭვინთაში და რიწის ტბაზე.

რიწის ტბა ტურისტთა საყვარელი ადგილია. დილიდან გვიან ხალამომდე აქ ავტობუსებით მოდიან მთის პეიზაჟის მოყვარულნი.

ს ურ ა თ ზ ე: რიწის გზაცხეზე ტბასთან ხანმოკლე შეხვედრების დროს.

ი. პოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს მთა-ბარში

ქ ხ ა ლ ი ს კ ო ლ ა

ონი. (საკ. კორ.). მაღალმთიანი სოფელი გომი დაამშვენა ორსართულიანმა სკოლის ახალმა შენობამ, რომელიც 144 მოსწავლისათვის არის გათვალისწინებული. სახელმწიფო მიმღებმა კომისიამ ჩორდმშენის სამმართველოს კოლექტივის (უფროსი ა. კუჭუხიძე) ნახელავს კარგი შეფასება მისცა.

შ ე ვ ი თ ხ ვ ე ვ ა

დ ა ხ ს რ ჩ ო ბ ა ს გ ა ლ ა ა რ ჩ ი ნ ე ს

თელავი. (საკ. კორ.). სოფელ კონდოლში ორდადგებზე სტუმრად ჩამოსული მეექვსეკლასელი გოგონები თბილისელი ნინა მარკოზაშვილი და რუსთაველ ზაირა კირკვალიძე თანატოლებთან ერთად ალაზანზე წავიდნენ სბანაოდ. გოგონებმა მდინარეში ღრმად შეცურეს. ზაირა ტალღებმა გაიტაცა. მეგობარმა შველა მოინდომა, მაგრამ ვერაფერი გახდა, ზაირა წყლის სიღრმეში გაუჩინარდა. ამას შემხედვარე ნინა სასოწარკვეთილი ყვიროდა, შველასთან უხმობდა.

ბედად მდინარის ახლოს კონდოლელები ბრესენ გულეეეი, ჯემალ და გივი ახალმოსულიშვილები იმყოფებოდნენ. ყვირილზე მდინარეს მიაშურეს. გოგონა ტალღებს უკვე საკმაოდ შორს წაეღო და დაღუპვა გარდუვალი იყო, თუ არ იმარჯვებდნენ. მშველელნი წყალწადებულს ჯერ ნაპირნაპირ გამოეკიდნენ, ხოლო როცა დაეწიენენ, მდინარეში შეეცვდნენ და გონდაკარგული ტალღებს გამოსტაცეს. გოგონა ნაპირზე გამოიყვანეს, პირველი დახმარება აღმოუჩინეს და მოასულიერეს.

ა. თვალიაშვილი.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ა ლ ხ ო თ ე ა ტ რ ე ბ ი ს დ ა თ ვ ა ლ ი ე რ ე ბ ა

ვ ი ნ რ ა ა მ ო ი პ ო ვ ა

მ ი ე ქ ე ბ ვ ნ ა ა ი ა ლ ი ა ბ ა ს ა ბ ა ბ ა ბ